ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება ჭიათურის მუნიციპალიტეტში

მონიტორინგისა და ადვოკატირების დეტალური ანგარიში

შოთა გაფრინდაშვილი
ზაზა ხელაძე
თეონა კაპანაძე

ჭიათურა
2020

სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება ქიათურის მუნიციპალიტეტში

მონიტორინგისა და ადვოკატირების დეტალური ანგარიში

შოთა გაფრინდაშვილი – პროექტის დირექტორი

ზაზა ხელაძე – კონსორციუმის წევრი ორგანიზაციის დირექტორი

თეონა კაპანაძე – პროექტების კოორდინატორი

ქიათურა 2020

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციების ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“ და ასოციაცია „ასა“ -ს მიერ განხორციელებულ „სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება ჭიათურის მუნიციპალიტეტში“ პროექტის მიხედვით. იგი განხორციელდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

წინამდებარე ანგარიშის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები "ჭიათურელთა კავშირი“ და „ასა“ და ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI CSI
Civil Society Institute
CSRDG
ctc Empowering People for Change
EDEC

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ტელეფონი: (+995 32) 2 39 90 19
ელექტრონული ფოსტა: office@csrdg.ge
www.csrdg.ge

სარჩევი

1. მონიტორინგის მიზნები და წინაპირობა 6

2. მონიტორინგის განხორციელება 10

2.1 სამონიტორინგო ლოკაციები 10

2.2 მონიტორინგის საშუალებები და მიდგომა 10

3. მონიტორინგის შედეგები და დასკვნები 11

3.1 საშევარდნოს კარიერი 11

3.2 მანგანუმის მადნის და კონცენტრატის ტრანსპორტირება 12

3.2.1 საავტომობილო გადაზიდვების ინტენსივობა და რკინიგზის გამართულობა 12

3.2.2 სატვირთო ავტომობილების მდგომარეობა 14

3.2.2.1 ძარების გადახურვა 14

3.2.2.2 საბურავების სისუფთავე 15

3.2.3 გზების მორწყვა-დანამვა 16

3.3 ლაბორატორიის შეძენა და აღჭურვა 16

3.4 ცვლილებათა ადვოკატირება 18

3.5 ადვოკატირების შედეგები 20

ფოტოები

ფოტო1: თვითმცლელების მოძრაობისას გზიდან ატაცებული მტვერი. ფოტო გადაღებულია 2019 წლის 21 აგვისტოს, ე.წ. „ცოფის“ დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე 7

ფოტო2: მანგანუმის ორჟანგის შემცველი მტვერი საცხოვრებელ სახლებში ავეჯზე. ფოტო გადაღებულია 2019 წლის 10 ოქტომბერს, ქ. ჭიათურა, აბაშიძის ქუჩა....7

ფოტო3: საშევარდნოს კარიერი. გადაღებულია 2019 წლის აპრილში 11

ფოტო 4: გუბურა საშევარდნოს კარიერზე. გადაღებულია 2019 წლის 11 აგვისტოს 12

ფოტო5: თბომავლის გაფრქვევები. გადაღებულია 2019 წლის 6 ოქტომბერს, ქ. ჭიათურა, 26 მაისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (ამ მდგომარეობაში მყოფი თბომავალი გაივლიდა მთელ ქალაქს)....13

ფოტო 6: მანგანუმის მადნით დატვირთული სატვირთო მანქანა არასრულად დაფარული ძარით. ფოტო გადაღებულია 2019 წლის 29 აგვისტოს ქ. ჭიათურაში, აბაშიძის ქ. N5....14

ფოტო7: მანგანუმის მადნით დატვირთული თვითმცლელი ჭიათურის ქუჩაში. გადაღებულია 2019 წლის 18 სექტემბერს გრ. აბაშიძის ქ. N5, ჭიათურის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 15

ფოტო 8: გზების დატალახიანება გამოწვეული მანგანუმის მადნის მზიდი ავტომანქანების საბურავებით. ფოტო გადაღებულია ჭიათურასთან ახლოს მდებარე რგანის კარიერიდან ქ. ჭიათურის მიმართულებით გამომავალ გზაზე, 2019 წლის 5 სექტემბერს 15

ფოტო 9: მანგანუმის მადნის მზიდი მანქანების საბურავებით დამტვერიანებული გზა. ფოტო გადაღებულია ორი ნომრის დასახლებაში, ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2019 წლის 22 სექტემბერს. 16

ფოტო 10: „ჯორჯიანმანგანეზის“ ლაბორატორია, გადაღებულია 2020 წლის 24 იანვარს. 17

ფოტო 11: „ჯორჯიანმანგანეზის“ ლაბორატორია, გადაღებულია 2020 წლის 24 იანვარს. 17

ფოტო 12: შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გარემოსდაცვით კომიტეტში, 2019 წლის 17 დეკემბერი 18

ფოტო 13: ორგანიზაციის წარმომადგენლები ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე. ფოტო გადაღებულია 2019 წლის 21 ნოემბერს. 19

ფოტო 14: შეხვედრა „ჯორჯიანმანგანეზის“ წარმომადგენლებთან. ფოტო გადაღებულია ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ ოფისში 2019 წლის 18 აგვისტოს. 19

ფოტო 15: საშევარდნოს კარიერის რეკულტივაციის პროცესი, გადაღებულია 2019 წლის 15 სექტემბერს. 21

ფოტო 16: ე.წ. „ცოფის“ სამრეცხაო. ფოტო გადაღებულია 2019 წლის 9 სექტემბერს გარდა თვითმცლელი მანქანებისა, ამ სამრეცხაოზე ირეცხება ასევე სპეც-ტექნიკაც, რომლითაც ხდება მზა კონცენტრატის სანაყარო მოედნებიდან ჩატვირთვა რკინიგზის ვაგონებში. 22

ფოტო 17: ე.წ. „ცოფის“ სამრეცხაო. ფოტო გადაღებულია 2020 წლის 20 იანავარს 22

ფოტო 18: ჭიათურის ქუჩების მორეცხვა ღამით. გადაღებულია ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე, 2019 წლის 10 სექტემბერს. 23

ფოტო 19: „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ ჭიათურისთვის შეძენილი ქუჩის დასასუფთავებელი სპეც-ტექნიკა. გადაღებულია ქ. ჭიათურაში, ნინოშვილის ქ. N12 , 2019 წლის 10 სექტემბერს....24

1. მონიტორინგის მიზნები და წინაპირობა

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში“. ჯანმრთელი გარემოს არსებობის აუცილებლობას საქართველოს ავალდებულებს 2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საქართველომ უნდა განსაზღვროს გარემოს დაცვის სფეროს განვითარება და სახელმწიფო პოლიტიკაში მისი როლი. (VI კარი, თავი 3, გარემოს დაცვა, მუხლი 301). ერთ-ერთი ვალდებულებაა ასევე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვა (VI კარი, თავი 3, გარემოს დაცვა, მუხლი 302).

საქართველოში საყოველთაოდ ცნობილია ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული ეკოლოგიურად მძიმე ვითარება. მანგანუმის მოპოვების ასწლიანმა პროცესმა, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ ეკო-სისტემას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ბოლო წლების განმავლობაში, როცა ნაცვლად მადნის სარკინიგზო გადაზიდვებისა, მეწარმეებმა დაიწყეს მადნის გადაზიდვა ზესტაფონში საავტომობილო თვითმცლელებით[1]. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა დამტვერიანება, ვიბრაცია და ხმაურის დონე ქალაქ ჭიათურაში.

2016 წლის მაისიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი აქტით სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა, რადგან დაუშვა ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადაადგილება ჭიათურის ქუჩებში თან ისე, რომ არ განსაზღვრა დაბინძურების აღკვეთის ღონისძიებები და ამ ღონისძიებების გამტარებელი პასუხისმგებელი პირი. ქალაქის ქუჩებში ნედლი მადნით დატვირთული მანქანების მოძრაობამ და ზესტაფონის მიმართულებით მზა კონცენტრატის მზიდი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებამ გამოიწვია ქალაქის ჰაერის დამატებითი დაბინძურება. ყოველივე ამან მანგანუმის ორჟანგით დამტვერიანებულ ქალაქში ცხოვრება კიდევ უფრო საშიში გახადა ჯანმრთელობისათვის. ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ მიერ 2016 წლის შემოდგომაზე ჩატარებული კვლევის შედეგებით ჭიათურის ცენტრალურ ნაწილში ატმოსფერულ ჰაერში მანგანუმის ორჟანგის (MnO_2) შემცველობა 37 – ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმას. 2017 წლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

1 საავტომობილო გადაზიდვის სიიაფისა და მოხერხებულობის გამო რკინიგზით გადაზიდვასთან შედარებით,

ფოტო1: *თვითმცლელების მოძრაობისას გზიდან ატაცებული მტვერი.* ფოტო გადაღებულია 2019 წლის 21 აგვისტოს, ე.წ. „ცოფის“ დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე

ფოტო2: *მანგანუმის ორჟანგის შემცველი მტვერი საცხოვრებელ სახლებში ავეჯზე.* ფოტო გადაღებულია 2019 წლის 10 ოქტომბერს, ქ. ჭიათურა, აბაშიძის ქუჩა

2017 წლის მაისში სახელმწიფოს მიერ შპს „ჯორჯიანმანგანეზში“ დაინიშნა სპეციალური მმართველი გარემოსდაცვით საკითხებში, რომელმაც წარადგინა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების 14 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ქალაქ ჭიათურის დამტვერიანებას მანგანუმის მადნის ან კონცენტრატის გადაზიდვისას. კერძოდ:

ა) მადნისა და კონცენტრატის საავტომობილო გადაზიდვების შეზღუდვას და ტრანსპორტირებისათვის რკინიგზის მაქსიმალურად გამოყენებას.

ბ) იმ შემთხვევაში თუ განხორციელდებოდა მადნის ან კონცენტრატის საავტომობილო გადაზიდვა, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მანგანუმის გადამზიდი სატვირთოების ძარების დახურვა, საბურავების გარეცხვა და ქალაქში მათი გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა. მძიმე ავტომანქანების გადაადგილებისას გზის საფარიდან მტვრის ატაცების გამოსარიცხად რეგულარულად უნდა განხორციელებულიყო დასახლებული პუნქტების მორწყვა-დანამვის სამუშაოები.

გ) ქალაქის თავზე მდებარე ე.წ. საშევარდნოს კარიერის რეკულტივაციას, ქალაქის მიმართულებით მადნის ჩამორეცხვის ან ქარით გადატანის გამორიცხვის მიზნით.

დ) ზედაპირული და გრუნტის წყლების, ატმოსფერული ჰაერისა და ვიბრაციის მუდმივ მონიტორინგს, რისთვისაც „ჯორჯიანმანგანეზს“ უნდა შეეძინა სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია.

აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება სამი წლის ვადაში უნდა შესრულებულიყო.

ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“ პერიოდულად, მოხალისეობრივ საწყისებზე, ახორციელებდა აღნიშნული გეგმის მონიტორინგს, რის საფუძველზეც დგინდებოდა, რომ გეგმის შესრულების ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, ძალიან ბევრი პუნქტი ჯერ კიდევ შეუსრულებელი იყო. აშკარად იკვეთებოდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი ხარისხი ქალაქში. 2019 წელს, აღნიშნული პრობლემების გააანალიზების, შემსუბუქებისა და გადაჭრისათვის ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირმა“ განახორციელა შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. თანმიმდევრული მონიტორინგით გამოვლინდა ის დარღვევები, რომელიც ამ საწარმოს მიერ ჭიათურის ჰაერის დაბინძურებას განაპირობებდა.

შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ 14 პუნქტიანი სამოქმედო გეგმის შესამოწმებელი პუნქტები:

1) ქალაქის თავზე მდებარე საშევარდნოს კარიერის რეკულტივაცია;

2) ბუნებრივი წიაღისეულის, ქვიშისა და მანგანუმის კონცენტრატის გადაადგილება:

   a) საავტომობილო გადატანების შეზღუდვა და ტრანსპორტირება რკინიგზის საშუალებით; რკინიგზის გამართულობა.

   b) მანგანუმის გადამზიდ სატვირთოებთან დაკავშირებული საკითხები:
      i) ძარების დახურვა;
      ii) საბურავების გარეცხვა;
      iii) გადადგილების სიხშირის გაზომვა (რაოდენობა საათში).

   c) მძიმე ავტომანქანების გადაადგილებისას გზის საფარიდან მტვრის ატაცების გამოსარიცხად დასახლებული პუნქტების მორწყვა-დანამვის სამუშაოების შესრულება.

3) „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ ჰაერის მონიტორინგის ლაბორატორიის გამართვა, ინვენტარით აღჭურვა (ამ ლაბორატორიის მოწყობის ვალდებულება საწარმოს აქვს 2009 წლიდან).

აღნიშნული მონიტორინგის საფუძველზე ორგანიზაცია გეგმავდა რეკომენდაციების მომზადებას „ჯორჯიანმანგანეზის“ გარემოსდაცვითი გეგმის სათანადოდ შესრულებისათვის და ზოგადად, ქ. ჭიათურაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ორგანიზაცია, აგრეთვე, მოიაზრებდა ადვოკატირების კამპანიას ამ რეკომენდაციების სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად, და კონკრეტულად ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა ადგილობრივ თვითმმართველობაში ნორმატიული აქტის ინიცირება „მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების შეზღუდვის წესის თაობაზე“ და შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ გადაწყვეტილება მზა კონცენტრატის მხოლოდ რკინიგზით გადაზიდვის დაშვების თაობაზე და ამ აქტის დროული მიღებისათვის აქტიურ ლობირებას.

2. მონიტორინგის განხორციელება

2.1 სამონიტორინგო ლოკაციები

შესამოწმებლად შეირჩა შემდეგი ობიექტები/ლოკაციები, :

- ქალაქის ცენტრალური ნაწილი, სადაც 2016 წელს მანგანუმის ორჟანგის კონცენტრაცია ჰაერში 37-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას;
- ხალხმრავალი ადგილები აგრარული ბაზრისა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე;
- კარიერებიდან, გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან ცენტრალურ გზატკეცილთან და ქალაქის ქუჩებთან დამაკავშირებელი გზები;
- ქალაქის თავზე მდებარე საშევარდნოს კარიერი (აქ წვიმების დროს ხდება მანგანუმის ნარჩენების ჩამოდინება ფერდობებეზე, ხოლო ძლიერი ქარის დროს ეს ფენა აიტაცება და გაიფრქვევა მთელ ქალაქში).

2.2 მონიტორინგის საშუალებები და მიდგომა

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მონიტორინგი ინტენსიურად ხორციელდებოდა 2019 წლის აგვისტოდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო პერიოდულად შემდგომ პერიოდშიც (2020 წ. თებერვლამდე). მიდგომები განსხვავდებოდა:

- მადნისა და კონცენტრატის გადამზიდი ავტომობილების მონიტორინგი ხორციელდებოდა კვირაში ერთხელ, დღის 12:00 სთ-დან 13:00-მდე ფოტო-ვიდეო გადაღებით. მოწმდებოდა ავტომობილების რაოდენობა (საათში 15-20 მანქანა, ნაცვლად 6-ისა), ძარის გადახურვის მდგომარეობა, ბორბლების მდგომარეობა (ვიზუალურად, მათ მიერ გზაზე დატოვილი კვალის მიხედვით) .
- საშევარდნოს კარიერის მდგომარეობა შემოწმდა ორჯერ, 2019 წლის 11 აგვისტოსა და2019 წლის 3 სექტემბერს ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი ფოტო-ვიდეო გადაღებებით.
- ლაბორატორიის მოწყობა შემოწმდა ადგილზე ვიზიტითა და დათვალიერებით.

გაანალიზდა მოპოვებული მასალა და მოხდა მისი სისტემატიზირება. დოკუმენტური მასალა ხელმი-საწვდომია ორგანიზაციის ოფისში.

3. მონიტორინგის შედეგები და დასკვნები

3.1 საშევარდნოს კარიერი

ადგილზე გასვლით, დათვალიერებით და ფოტო გადაღებით დაფიქსირდა ის საშიშროებები, რომელიც ქალაქის თავზე არსებულ მიტოვებულ საშევარდნოს კარიერს უკავშირდებოდა. გარდა იმისა, რომ ტერიტორიაზე არსებული მოშიშვლებული ქანები წარიტაცებოდა ქარით და ამტვერიანებდა ქალაქს, კარიერის ტერიტორიაზე იყო მანგანუმის ამოღების შემდეგ დარჩენილი უზარმაზარი ღრმულები, რომლებიც ივსებოდა ნალექით, რაც იწვევდა მეწყრული პროცესების განვითარების რეალურ საშიშროებას. ეს უკანასკნელი სერიოზულ საფრთხეს უქმნის კარიერის ქვემოთ, კანიონში განთავსებულ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს. ასეთი ადგილები საშევარდნოს კარიერზე დაახლოებით 3 ჰექტარია.

ამდენად, გამოვლინდა აღნიშნული კარიერის რეკულტივაციის გადაუდებელი აუცილებლობა.

ფოტო3: *საშევარდნოს კარიერი.* გადაღებულია 2019 წლის აპრილში

ფოტო 4: *გუბურა საშევარდნოს კარიერზე.* გადაღებულია 2019 წლის 11 აგვისტოს

3.2 მანგანუმის მადნის და კონცენტრატის ტრანსპორტირება

3.2.1 საავტომობილო გადაზიდვების ინტენსივობა და რკინიგზის გამართულობა

მანგანუმის მზიდი მანქანების მოძრაობის მონიტორინგი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ხორციელდებოდა კვირაში ერთხელ ფოტო-ვიდეო გადაღებით. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ მანგანუმის მზიდი მანქანების მოძრაობა ქალაქის ქუჩებში ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც ხდება. (იგულისხმება გადაზიდვების რკინიგზით განხორციელების პრიორიტეტულად აღიარებამდე და მას შემდეგ) კერძოდ, ჭიათურის გავლით 2019 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეებში საშუალოდ საათში 15-22-მდე მანგანუმის მადნით დატვირთული და მანგანუმის კონცენტრატით დატვირთული მძიმე თვითმცლელი ავტომანქანა გადაადგილებოდა, ნაცვლად ნორმატიული აქტით განსაზღვრული 6-ისა. გადაადგილების მარშრუტი იყო ქალაქის ერთი ბოლოდან (მემორიალი) მეორე ბოლომდე (პრესის სახლამდე), რაც კვეთს ქალაქის ცენტრს და ხალხმრავალ ადგილებს, მათ შორის ჭიათურის პირველ საჯარო სკოლას.

„ჭიათურელთა კავშირმა“ განახორციელა აგრეთვე რკინიგზის მონიტორინგი როგორც რკინიგზით გადაზიდვის პროცესში, ისე გამდიდრებული მადნის/მარგანეცის სანაყაროებზე. გარეცხილი მადნის სანაყაროების მოწყობის შემოწმება, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია. დასაწყისში ზესტაფონის მიმართულებით ხდებოდა მზა კონცენტრატის გადაზიდვა მძიმეწონიანი მანქანებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარდა შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ ფაბრიკებისა, მდინარე ყვირილას ნაპირებზე კიდევ 18 მინი-ქარხანაა განთავსებული, ადვილი წარმოსადგენია, რამდენ მძიმეწონიან მანქანას უწევდა ზესტაფონის „ფეროს“ მიმართულებით ქალქის ქუჩების გავლა. ამას ემატებოდა რგანიდან და ბუნიკაურიდან მოძრავი ნედლი მადნით დატვირთული მანქანები, რის გამოც დიდ ტექნოგენურ პრესინგს განიცდიდა ქალაქის მოსახლეობა (დამტვერიანება, ვიბრაცია ხმაური). დამატებით აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ჯარბელისა“ და „ცოფის“

ტერიტორიაზე მოეწყო მზა კონცენტრატის მოედნები, რამაც საშუალება მისცა მცირე მეწარმეებს გამდიდრებული მადანი ნაცვლად იმისა რომ თვითონ გადაეზიდათ, შეეძლოთ მოედნებზევე ჩაებარებინათ შპს „ჯორჯიანმანგანეზისათვის," რომელიც, თავის მხრივ, რკინიგზის საშუალებით აგზავნიდა ზესტაფონის მიმართულებით.

მართალია, ხდებოდა, მადნის რკინიგზით გადაზიდვა, მაგრამ ამ პროცესმა კიდევ სხვა, ახალი პრობლემები წარმოშვა, კერძოდ, მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ თბომავლები, რომლითაც ხდებოდა მზა კონცენტრატის გადაზიდვა, ატმოსფერულ ჰაერში აფრქვევდა დიდი ოდენობის დიზელის ნამწვს და ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი (რკინიგზის გასწვრივ) ბოლში ეხვეოდა. "დიზელის საწვავის წვის შედეგად გამოიფრქვევა ისეთი ქიმიკატები, როგორიცაა აზოტის ოქსიდები, ნახშირწყალბადები, ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი, ჭვარტლის ნაწილაკები და გოგირდის ჟანგეულები, რომელიც წარმოიქმნება გოგირდის გაფრქვევის შედეგად ჰაერში მისი ჟანგბადთან ზემოქმედების შედეგად. დიზელის გამონაბოლქვს უარყოფითი გავლენა აქვს როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე, ასევე, გარემოზე. ამდენად, დიზელის გამონაბოლქვი ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია, რომელიც ყურადღებას საჭიროებს."[2]

ფოტო5: *თბომავლის გაფრქვევები.* გადაღებულია 2019 წლის 6 ოქტომბერს, ქ. ჭიათურა, 26 მაისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (ამ მდგომარეობაში მყოფი თბომავალი გაივლიდა მთელ ქალაქს)

2 „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის," ნაშრომი: „დიზელის როლი ჰაერის დაბინძურებაში და მისი უარყოფითი შედეგების შემცირების გზები ტრანსპორტის სფეროში"

3.2.2 სატვირთო ავტომობილების მდგომარეობა

3.2.2.1 ძარების გადახურვა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მადნისა და კონცენტრატის ტრანსპორტირებისას გამოყენებული ავტომცლელების ძარების არასრული გადახურვის არაერთი შემთხვევა. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დროს ქ. ჭიათურის ცნტრალურ ქუჩაზე მიმავალი თვითმცლელი მანქანების 50% იყო გადაუხურავი ან არასრულად დახურული, მხოლოდ 50% იყო გადახურული წესების დაცვით.

ფოტო 6: *მანგანუმის მადნით დატვირთული სატვირთო მანქანა არასრულად დაფარული ძარით.* ფოტო გადაღებულია 2019 წლის 29 აგვისტოს ქ. ჭიათურაში, აბაშიძის ქ. N5

ფოტო7: *მანგანუმის მადნით დატვირთული თვითმცლელი ჭიათურის ქუჩაში.* გადაღებულია 2019 წლის 18 სექტემბერს გრ. აბაშიძის ქ. N5, ჭიათურის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე

3.2.2.2 საბურავების სისუფთავე

მონიტორინგმა აჩვენა, რომ კარიერებიდან გამომავალი მანქანების საბურავები დასვრილი იყო მანგანუმის მადნის ტალახით.

ფოტო 8: *გზების დატალახიანება გამოწვეული მანგანუმის მადნის მზიდი ავტომანქანების საბურავებით.* ფოტო გადაღებულია ჭიათურასთან ახლოს მდებარე რგანის კარიერიდან ქ. ჭიათურის მიმართულებით გამომავალ გზაზე, 2019 წლის 5 სექტემბერს

ფოტო 9: *მანგანუმის მადნის მზიდი მანქანების საბურავებით დამტვერიანებული გ ზა.* ფოტო გადაღებულია ორი ნომრის დასახლებაში, ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2019 წლის 22 სექტემბერს.

ტალახი საბურავებიდან ქალაქის ქუჩებში ცვიოდა. მშრალ ამინდში კი, ქარის დროს, ხდებოდა მისი გაფრქვევა ჰაერში, რაც ქალაქის ქუჩების მანგანუმის ორჟანგით დამტვერიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

3.2.3 გზების მორწყვა-დანამვა

მონიტორინგის შედეგად დადგინდა (კვირაში ერთხელ დაკვირვებით), რომ ქალაქ ჭიათურაში, დაბინძურებული ქუჩების გადარეცხვა თითქმის არ ხდებოდა, სპეც-ტექნიკის უქონლობის გამო. თუ არ ჩავთვლით შპს „GM"-ის ერთ ერთეულ სპეც- მანქანას, რომელსაც მხოლოდ ქუჩების დანამვის ფუნქცია აქვს და არა გადარეცხვის. მონიტორინგის პერიოდში თვითმმართველობას კი მოქმედი სპეც-ტექნიკა არ ჰყავდა.

3.3 ლაბორატორიის შეძენა და აღჭურვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჯორჯიანმანგანეზის" გარემოსდაცვით ღონისძიებათა გეგმაში შედიოდა წყლის, ჰაერისა და ვიბრაციის რეგულარული მონიტორინგისთვის სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიის მოწყობა. მონიტორინგის დროს „ჯორჯიანმანგანეზიდან" გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ამ ვალდებულების შესრულების თაობაზე.

2020 წლის 6 იანვარს „ჯორჯიანმანგანეზმა" „ჭიათურელთა კავშირს" მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით ფაქტიურად დასრულებული იყო. ამის შემდეგ „ჭიათურელთა კავშირი"-ს თავმჯდომარემ, კოორდინატორმა და ჭიათურის მოსწავლეთა საკრებულოს თავმჯდომარემ, კომპანიის თანხმობით, დაათვალიერეს ლაბორატორია.

დათვალიერებისას დადასტურდა ინფორმაცია ლაბორატორიისათვის საჭირო აპარატურის შეძენის თაობაზე. ლაბორატორიის თანამშრომელმა ვიზიტორებს განუმარტა არსებული ტექნიკის დანიშნულება, თუმცა ვიზიტისას ლაბორატორია ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა, დასასრულებელი სარემონტო სამუშაოების, კერძოდ, სველი წერტილების, და შესაბამისი კადრების გადამზადების პროცესის გამო.

ფოტო 10: *„ჯორჯიანმანგანეზის“ ლაბორატორია,* გადაღებულია 2020 წლის 24 იანვარს.

ფოტო 11: *„ჯორჯიანმანგანეზის“ ლაბორატორია,* გადაღებულია 2020 წლის 24 იანვარს.

3.4 ცვლილებათა ადვოკატირება

ცვლილებების ადვოკატირებისთვის ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირმა“ არაერთი ღონისძიება განახორციელა: შექმნა ვიდეორგოლები, თემატური თოქ-შოუ, რომელიც გადაიცა ტელეკომპანია „იმერვიზიით“ და რომლის მაუწყებლობაც ვრცელდება ასევე „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ მეშვეობით. მოეწყო ფოტოგამოფენა, შეხვედრები თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, შპს“ჯორჯიანმანგანეზის“ სპეციალურ მმართველთან, შეხვედრა პარლამენტში.

ფოტო 12: *შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გარემოსდაცვით კომიტეტში,* 2019 წლის 17 დეკემბერი

მონიტორინგის შედეგების განსახილველად ორგანიზაციამ მოაწყო შეხვედრები როგორც შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ ხელმძღვანელობასთან, ისე ადგილობრივ თვითმმართველობასთან.
მონიტორინგისა და ადვოკატირების კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჭიათურელთა კავშირთან“ არსებული „ჭიათურის მოსწავლეთა საკრებულოსა“ და „ჭიათურის სტუდენტური კავშირის“ როლი. ისინი თითქმის ყველა საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი: რამდენჯერმე შეხვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის და შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ წარმომადგენლებს, გააცნეს მონიტორინგის შედეგებო, ხოლო საპარლამენტო დონეზე გასწიეს ადვოკატირება „ჭიათურელთა კავშირთან“ ერთად.

ფოტო 13: *ორგანიზაციის წარმომადგენლები ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.* ფოტო გადაღებულია 2019 წლის 21 ნოემბერს.

ახალგაზრდები ორჯერ შეხვდნენ შპს „ჯორჯიანმანგანეზში“ სახელწიფოს მიერ დანიშნულ სპეციალურ მმართველს და გააცნეს თავიანთი ხედვა გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით დამტვერიანების შემცირების კუთხით.

ფოტო 14: *შეხვედრა „ჯორჯიანმანგანეზის“ წარმომადგენლებთან.* ფოტო გადაღებულია ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ ოფისში 2019 წლის 18 აგვისტოს.

შეხვედრებზე არაერთხელ დაისვა საკითხი ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადახურვისა და მოძრაობის სიჩქარის მონიტორინგის გამკაცრების აუცილებლობაზე.

შპს „ჯორჯიანმანგანეზისა“ და ქალაქის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს ყურადღება გამახვილდა მადნით დატვირთულ მანქანებზე, რომელთა დასვრილი საბურავებით ქალაქის ქუჩებში ბინძურდება. დაისვა საკითხი კარიერებიდან, მაღაროებიდან და მანგანუმის სანაყაროებიდან გამომავალ გზებზე ავტომობილების საბურავების სამრეცხაოების მოწყობის აუცილებლობის თაობაზე. მონიტორინგის პერიოდში მსგავსი სამრეცხაო არსებობდა მხოლოდ ერთი ე.წ.“ცოფის“ ფაბრიკის მიმდებარედ და ისიც უმოქმედო მდგომარეობაში.

შპს „ჯორჯიანმანგანეზ“- თან კომუნიკაციამ, შეხვედრებმა, ახალგაზრდების აქტიურობამ და ადვოკატირების კამპანიამ განაპირობა რიგი ნაბიჯები და გადაწყვეტილებები „ჯორჯიანმანგანეზის“ მხრიდან. კერძოდ, მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები: გამდიდრებული მადნის რკინიგზით გადაზიდვის, სამრეცხაოების მშენებლობის, გზების სარეცხი სპეც-ტექნიკის შეძენის, ახალი თბომავლის შესყიდვის თაობაზე.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან უერთიერთობას და გაწერულ საქმიანობას, გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. მომზადდა პეტიცია, რომელიც ეხება ქალაქ ჭიათურის ცენტრალურ ქუჩაზე ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადაადგილების აკრძალვას. პეტიციაზე ხელი მოაწერა 500-მა მოქალაქემ.

2. მომზადდა საკრებულოს დადგენილების პროექტი ქალაქ ჭიათურის ცენტრალურ ქუჩაზე ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადაადგილების აკრძალვის თაობაზე.

3. საკრებულოს დადგენილების პროექტი ფორმალურად ინიცირებული იქნა 500 მოქალაქის (ზრდასრული მოსახლეობის 1 %) მიერ ხელმოწერილი პეტიციით.

3.5 ადვოკატირების შედეგები

„ჭიათურელთა კავშირის“ და „ასა“-ს მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და ადვოკატირების შედეგად გატარდა შემდეგი ცვლილებები:

1. შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ დაიწყო საშევარდნოს კარიერის რეკულტივაცია: ტერიტორია მოსწორდა და ნიადაგი გამზადდა მწვანე საფარის დასარგავად.

ფოტო 15: *საშევარდნოს კარიერის რეკულტივაციის პროცესი,* გადაღებულია 2019 წლის 15 სექტემბერს.

2. შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ კარიერებიდან, მაღაროებიდან და მანგანუმის სანაყაროებიდან გამომავალ გზებზე მოეწყო და ამოქმედდა ავტომობილების საბურავების 8 სამრეცხაო. ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირმა“ შეამოწმა სამრეცხაოები, როგორც მშენებლობის პროცესში, ისე დასრულებისას, ექსპლუატაციაში გაშვებისას და მუშაობისას. მონიტორინგით დადასტურდა, რომ ყველა მანქანის საბურავი ირეცხება.

ფოტო 16: *ე.წ. „ცოფის“ სამრეცხაო.* ფოტო გადაღებულია 2019 წლის 9 სექტემბერს გარდა თვითმცლელი მანქანებისა, ამ სამრეცხაოზე ირეცხება ასევე სპეც-ტექნიკაც, რომლითაც ხდება მზა კონცენტრატის სანაყარო მოედნებიდან ჩატვირთვა რკინიგზის ვაგონებში.

ფოტო 17: *ე.წ. „ცოფის“ სამრეცხაო.* ფოტო გადაღებულია 2020 წლის 20 იანვარს

3. შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ შეძენილ იქნა ქუჩების გადამრეცხი ორი ერთეული სპეც-ტექნიკა, აგრეთვე ქუჩების დამსუფთავებელი ორი ერთეული მინი სპეც- ტექნიკა. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაიწყო გარკვეული პერიოდულობით ქუჩების გადარეცხვა, ხოლო ღამის განმავლობაში დასუფთავება. ჩვენი ორგანიზაციის მიერ კვირაში ორჯერ ხდებოდა ქუჩების გადარეცხვის მონიტორინგი. არსებობს ამის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალაც.

ფოტო 18: *ჭიათურის ქუჩების მორეცხვა ღამით.* გადაღებულია ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე, 2019 წლის 10 სექტემბერს.

ფოტო 19: *„ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ ჭიათურისთვის შეძენილი ქუჩის დასასუფთავებელი სპეც-ტექნიკა.* გადაღებულია ქ. ჭიათურაში, ნინოშვილის ქ. N12 , 2019 წლის 10 სექტემბერს.

4. საპარლამენტო და სამთავრობო შეხვედრების შედეგად გადაწყდა, რომ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რეგიონის რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჭიათურა დაემატება იმ ქალაქთა (რუსთავი, თბილისი) რიგს, სადაც მოხდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების განსაკუთრებული კონტროლი. რაც ნიშავს იმას, რომ შეიძენენ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგისათვის განკუთვნილ სპეციალურ ძვირადღირებულ მობილურ სადგურს, რომელიც დეტალურად შეისწავლის ჰაერის დაბინძურების მდომარეობას.

5. შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მზა მადნის რკინიგზით გადაზიდვასთან დაკავშირებით. ქალაქის ქუჩებში აღარ ხდება მანგანუმის მზა კონცენტრატის მზიდი მანქანების გადაადგილება. გადაზიდვა სრულად ხორციელდება რკინიგზით. ჯერ კიდევ მიმდინარეობს ნედლი მადნით დატვირთული მანქანების გადაადგილება, თუმცა შეზღუდული რაოდენობით. (საათში15-22 ერთეულის ნაცვლად დადის 4 ერთეული)

6. „ჭიათურელთა კავშირის“ პეტიციით ინიცირებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ნედლი მადნით დატვირთული მანაქანების გადაადგილების აკრძალვას, სამართლებრივი კონსულტაციებისათვის საკრებულოს მიერ გადაგზავნილია ექსპერტიზაზე (14.02.2020) მთავრობის ადმინისტრაციაში.

მიუხედავად ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი მიღწევებისა, „ჭიათურელთა კავშირი“ მიიჩნევს, რომ ჭიათურის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კერძოდ, პირველი დონის ამოცანებია:

- დაწესდეს მკაცრი მონიტორინგი ზესტაფონის მიმართულებით მზა კონცენტრატის რკინიგზით გადაზიდვებზე. რადგან მძიმეწონიანი ავტომანქანით გადაზიდვა უფრო სწრაფი, მოსახეხებელი და შედარებით იაფია მეწარმეებისათვის შესაძლოა იყოს მცდელობა კვლავ რკინიგზის გვერდის ავლით მოხდეს მზა კონცენტრატის გადაზიდვა. სწორედ ამიტომ აუცილებელია დაევალოს ზედამხედველობის განახლებულ სამსახურს ან პოლიციას, გზის იმ მონაკვეთზე, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება ვრცელდება, მუდმივი მონიტორინგის განხორციელება.
- სანამ მოხდება ზემოხსენებული ინიცირებული ნორმატიული აქტის მიღება, არსებული, მოქმედი ნორმატიული აქტის საფუძველზე მოხდეს მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილების შეზღუდვა კვირაში სამი სამუშაო დღით.